INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.gncc.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 27 თებერვალი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

[www.gncc.ge](http://www.gncc.ge)

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
56,25%
48,33%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
50,00%
41,88%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
45,63%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
66,67%
20,22%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
45,45%
41,90%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
38,46%
28,05%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40,00%
72,50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
50,00%
100,00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.** ვებ-გვერდზე არ მოიძება კომისიის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

1. არ მოიძიება კომისიის თავმჯდომარის ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე თავმჯდომარის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერი.

   ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ" არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისიონერები" მოცემულია კომისიის თავმჯდომარის მხოლოდ სახელი და გვარი:




   ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ" არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია" წარმოდგენილია კომისიის თავმჯდომარის თანაშემწის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი, ხოლო, კომისიის თავმჯდომარის საკონტაქტო რეკვიზიტების შესაბამისი გრაფა ცარიელია:

საკონტაქტო ინფორმაცია

| თანამდებობა | სახელი/გვარი | ქალაქის | e-mail |
|---|---|---|---|
| **კომისიის თავმჯდომარე** | ირაკლი ჩიქოვანი | | |
| კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე | ნინო ჩიქოვანი | 292-16-67 | nchikovani@gncc.ge |
| მძღოლი | რევაზ ბზიშვილი | 292-16-67 | |
| **კომისიის წევრი** | კარლო კვიტაიშვილი | | kkvitaishvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან მახარაძე | 239-04-85 | rmakharadze@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | სოფო ბრიტანჩუკი | | sbritanchuk@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | მაია ნინუა | 238-61-54 | mninua@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | აკაკი სიხარულიძე | | asikharulidze@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | ლალი გვერდწითელი | 239-96-81 | lgverdtsiteli@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | ირაკლი მოსეშვილი | | imoseshvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან ჭაბუკიანი | 239-96-87 | rchabukiani@gncc.ge |

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „კომისიის თავმჯდომარე“, სადაც განთავსდება კომისიის თავმჯდომარის შესახებ ყველა სახის ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

**2.** კომისიის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

საქართველოს კომუნიკასიების ეროვნული კომისია

**3.** არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და კომისიის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**4.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ წარმოდგენილია მხოლოდ კომისიის თანამშრომლების საკონტაქტო რეკვიზიტები:

| თანამდებობა | სახელი/გვარი | ქალაქის | e-mail |
|---|---|---|---|
| **კომისიის თავმჯდომარე** | ირაკლი ჩიქოვანი | | |
| კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე | ნინო ჩიქოვანი | 292-16-67 | nchikovani@gncc.ge |
| მძღოლი | რევაზ ბზიშვილი | 292-16-67 | |
| **კომისიის წევრი** | კარლო კვიტაიშვილი | | kkvitaishvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან მახარაძე | 239-04-85 | rmakharadze@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | სოფო ბრიტანჩუკი | | sbritanchuk@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | მაია ნინუა | 238-61-54 | mninua@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | აკაკი სიხარულიძე | | asikharulidze@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | ლალი გვერდწითელი | 239-96-81 | lgverdtsiteli@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | ირაკლი მოსეშვილი | | imoseshvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან ჭაბუკიანი | 239-96-87 | rchabukiani@gncc.ge |
| **პრეს–მდივანი** | ხატია ყურაშვილი | 238-61-40 | pr@gncc.ge |
| **ადმინისტრაციული დეპარტ. უფროსი** | იოსებ ხარებავა | 231-13-13 | ikharebava@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. მთავ. სპეც. | დავით ჭანკოტაძე | 238-49-73 | dchanko@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. მთავ. სპეც. | დავით კიკნაძე | 238-69-95 | dkiknadze@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. მთავ. სპეც. | გრიგოლ სულუხია | 239-96-69 | gsulukhia@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. მთავ. სპეც. | ლექსო ყანჩაველი | 238-49-73 | lkanchaveli@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. სპეციალ. **(კანცელარია)** | ნინო ჯავახიძე | 292-16-25 | njavakhidze@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. სპეციალ. **(კანცელარია)** | თეონა დანელია | 292-16-25 | tdanelia@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. სპეციალ. | გუგული კვანტალიანი | 239-36-17 | gkvantaliani@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. წამყ. სპეც. | მაია ქადეიშვილი | 238-69-95 | mkadeishvili@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. წამყ. სპეც. | ნინო ლორთქიფანიძე | 238-69-95 | nlortkipanidze@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. წამყ. სპეც. | ნათია ჯანელიძე | 239-93-22 | natia@gncc.ge |
| ადმინის. დეპარტ. ასისტენტი | ნინო კალანდაძე | 239-93-22 | nkalandadze@gncc.ge |
| ადმინ. დეპარტამ.წამყ. სპეც. | რევაზ მორგოშია | 239-41-15 | rmorgoshia@gncc.ge |
| ადმინ. დეპარტამ. სპეც. | დიმიტრი მჭედლიძე | 239-41-87 | dmchedlidze@gncc.ge |

ხოლო, კომისიის საფოსტო მისამართი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსის ნომერი მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდის მთავარ (საპრეზენტაციო) გვერდზე წარმოდგენილ განყოფილებაში სათაურად „მომხმარებელთა უფლებები", რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული სახის ინფორმაციის მოძიების მხრივ:



## მომხმარებლების უფლებები

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მიმართოს თავად ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელს ან/და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან პირდაპირ სასამართლოს.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური განიხილავს თქვენს საჩივარს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებთან დაკავშირებით:

- ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურება;
- საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურება;
- მობილური სატელეფონო კავშირით მომსახურება;
- ინტერნეტით მომსახურება;
- მაუწყებლობის ტრანზიტით მომსახურება.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხების შესწავლა და განხილვა:

- მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება მომსახურების მიწოდების პირობების თაობაზე;
- ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების პირობები;
- ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანება;
- სადაო დავალიანება;
- მომსახურების პირველადი ჩართვა;
- მომსახურების შეზღუდვის ან/და შეწყვეტის პირობები;
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტით განსაზღვრული სხვა საკითხები.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, დაგვიკავშირდით.

**საკონტაქტო ინფორმაცია**
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 399505
ელ.ფოსტა: post@gncc.ge
მისამართი: თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18

ამასთან, აღნიშნულ განყოფილებაში წარმოდგენილ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს არ აქვს მითითება, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „დაგვიკავშირდით“ ან „საკონტაქტო ინფორმაცია“, სადაც წარმოდგენილი იქნება, ზემოთ ხსენებული საკონტაქტო ინფორმაცია კომისიის შესახებ.

**5.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება კომისიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**6.** კომისიის ისტორია განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“:

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია"), რომელიც საქართველოს პრეზიდენტის **განკარგულებით** ექვსწლიანი ვადით დანიშნული ხუთი წევრისაგან შედგება, საქმიანობა 2000 წლის 1 ივლისს დაიწყო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა ირაკლი ჩიქოვანი, ხოლო კომისიის წევრები - აკაკი სიხარულიძე, სოფიო ბრიტანჩუკი, ირაკლი მოსეშვილი და კარლო კვიტაიშვილი. კომისიის აპარატი ცხრა **სტრუქტურული** ერთეულისაგან შედგება.

**დებულების** თანახმად, კომისია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს. კომისია ვალდებულია, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს **ანგარიში** თავისი საქმიანობის შესახებ. იგი არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება. კომისია სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მისი შემოსავლის წყარო ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირების და ლიცენზიის მფლობელი ორგანიზაციების მიერ გადახდილი რეგულირების საფასურია.

ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნის წინაპირობა გახდა პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივლისს მიღებული საქართველოს **კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ**. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნამ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის სრულიად ახლებური ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები დაადგინა. კანონის მიხედვით გამიჯნულია მთავრობის, როგორც დარგში პოლიტიკის დამდგენი ორგანოს, და კომისიის, როგორც მარეგულირებელი ორგანოს, ფუნქციები.

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის:

- ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;
- თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა და ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

კომისია უფლებამოსილია, გამოაცხადოს კონკურსი და აუქციონი რადიომაუწყებლობის, ტელემაუწყებლობის, ნუმერაციის და სიხშირული რესურსებით სარგებლობის გამოყენების **ლიცენზიის** მისაღებად. ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია და ლიცენზიების გაცემა, შეჩერება, გაუქმება და ვადის გაგრძელება მხოლოდ კომისიის პრეროგატივაა. კომისია ასევე ვალდებულია, განახორციელოს მონიტორინგი ავტორიზებული პირების საქმიანობაზე, გაცემული ლიცენზიების პირობების შესრულებაზე და აწარმოოს ავტორიზებულ პირთა და ლიცენზიანტების უწყებრივი კომისიის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა; ბაზრის გამართული და სტაბილური ფუნქციონირებისათვის განიხილოს ლიცენზიანტებს შორის წარმოქმნილი დავები, ასევე დავები მათსა და მომხმარებელსა შორის.

კომისიის ძირითად ფუნქციებს შორის არის საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით საქმიანობისა და მომსახურების მიწოდების, აგრეთვე ტელერადიოსამაუწყებლო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ პრიორიტეტებთან ლიცენზიის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის შესაბამისობის დადგენა. მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის: **„მაუწყებლობის შესახებ“**, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“**, **„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“**, **„რეკლამის შესახებ“** და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების შესრულების და სალიცენზიო პირობების დაცვის მიზნით კომისია აწარმოებს ტელერადიომაუწყებლობის მონიტორინგს.

კომისიის კომპეტენციაში შედის **რადიოსიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება**, ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის საშუალებების სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა და სხვა.

კომისია არეგულირებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების **ურთიერთჩართვის** ტექნიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლის ძირითადი მიზანი მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ნებისმიერი ოპერატორის მომსახურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.

2001 წლიდან კომისია ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) ასოცირებული წევრია. 2007 წლიდან ინსტიტუტის საპროცედურო წესებში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველო ETSI-ის სრულუფლებიანი წევრი გახდა. 2005 წლის თებერვალში საქართველო მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაციის სამთავრობო-საკონსულტაციო კომიტეტის (ICANN GAC) მე-100 სამთავრობო წევრი გახდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ქვეყნის ინტერესებს ზემოაღნიშნულ კომიტეტში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU) და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტთან (ETSI).

2007 წლიდან საქართველო გახდა საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების ევროპული კონფერენციის (CEPT) სრულუფლებიანი წევრი. ადმინისტრაციას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, მაგრამ კომისია, როგორც მარეგულირებელი ორგანო, მჭიდროდ თანამშრომლობს CEPT-თან.

კომისიის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობის პრინციპია საზოგადოებასთან ღია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა. კომისიის **დადგენილებები** და **გადაწყვეტილებები** ხელმისაწვდომია საჯარო განხილვისათვის.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“ სადაც განთავსდება კომისიის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

**7.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“ სასურველია, განთავსდეს კომისიის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული კომისიის მიზნების, ფუნქციებისა და საქმიანობის საგნის დეტალური აღწერა:

კომისიის ძირითად მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიც არის:

- ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მონოპოლიური საქმიანობის დაუშვებლობა;
- თანასწორუფლებიანი და სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა და ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა;
- მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა.

➢ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

**8.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- სრული სახით არ არის წარმოდგენილი კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითადი ფუნქციებისა და მიმართულებების აღწერა; კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ კომისიის სტრუქტურულ (სქემატურ) ხეზე მოცემულია კომისიის აპარატში გაერთიანებული თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ძირითადი ფუნქციებისა და მიმართულებების მოკლე აღწერა. სასურველია, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს კომისიის მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითადი ფუნქციებისა და მიმართულებების ვრცელი აღწერა:




- არ მოიძიება კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და მათი ფაქსის ნომრები;

- არასრული სახით არის წარმოდგენილი კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები და მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონის ნომრები. კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ არ არის წარმოდგენილი კომისიის სტრუქტურული ერთეულის - „ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტის“ ხელმძღვანელის სახელი და გვარი და აგრეთვე, მისი საკონტაქტო რეკვიზიტები.

- არ მოძიება კომისიის აპარატში გაერთიანებული სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, განყოფილებაში „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილ კომისიის სტრუქტურულ (სქემატურ) ხეზე, არასწორად არის მოცემული კომისიის აპარატში გაერთიანებული შემდეგი სტრუქტურული ერთეულების სახელწოდებები, რაც მომხმარებლისათვის შეცდომაში შემყვანია:

- რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი - სტრუქტურულ (სქემატურ) ხეზე წარმოდგენილია, როგორც „რადიოსიხშირეთა დეპარტამენტი“; (სასურველია, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს გადაერქვას სტრუქტურულ ხეზე წარმოდგენილი, შეცდომაში შემყვანი სახელწოდება და ეწოდოს კომისიის მოქმედი დებულების მიხედვით განსაზღვრული სახელწოდება - „რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი“):




- ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი - სტრუქტურულ (სქემატურ) ხეზე წარმოდგენილია, როგორც ნუმერაციის დეპარტამენტი; (სასურველია, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულს გადაერქვას სტრუქტურულ ხეზე წარმოდგენილი, შეცდომაში შემყვანი სახელწოდება და ეწოდოს კომისიის მოქმედი დებულების მიხედვით განსაზღვრული სახელწოდება - ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი:



აგრეთვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“ მოყვანილია ინფორმაცია, რომ კომისიის აპარატი შედგება ცხრა სტრუქტურული ერთეულისგან:

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია"), რომელიც საქართველოს პრეზიდენტის **განკარგულებით** ექვსწლიანი ვადით დანიშნული ხუთი წევრისაგან შედგება, საქმიანობა 2000 წლის 1 ივლისს დაიწყო. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეა ირაკლი ჩიქოვანი, ხოლო კომისიის წევრები - აკაკი სიხარულიძე, სოფიო ბრიტანჩუკი, ირაკლი მოსეშვილი და კარლო კვიტაიშვილი. კომისიის აპარატი ცხრა **სტრუქტურული** ერთეულისაგან შედგება.

ზემოხსენებული ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სამართლებრივი აქტის - საქართველოს (პრეზიდენტის N326 ბრძანებულების - „საქართველოს კომუნკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ) მიხედვით:

**მუხლი 4. კომისიის აპარატის სტრუქტურა** *(18.08.2004 N 338)*
1. კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ადმინისტრაცია;

ბ) სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური;
გ) მონიტორინგის სამსახური;
დ) ფინანსური სამსახური;
ე) სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახური;
ვ) სამართლებრივ საკითხთა სამსახური;
ზ) უნივერსალური მომსახურების სამსახური;
თ) სიხშირული რესურსების მართვისა და სტანდარტიზაციის სამსახური;
ი) მაუწყებლობის მონიტორინგის სამსახური.

აღნიშნული სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულია, რის გამოც ხსენებულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მომხმარებლისათვის შეცდომაში შემყვანია; კომისიის მოქმედი დებულების თანახმად კომისიის აპარატი შეადგენს რვა სრტუქტურულ ერთეულს:

**მუხლი 3. კომისიის აპარატი** *(12.03.2010 N 1)*

**1. კომისიის აპარატი აერთიანებს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:**

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

ბ) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;

გ) სამართლებრივი დეპარტამენტი;

დ) მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტი;

ე) ნუმერაციის რესურსის მართვის დეპარტამენტი;

ვ) რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტი;

ზ) საფინანსო დეპარტამენტი;

თ) კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტი.

**9.** განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისიონერები“ მოცემულია კომისიის წევრების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, თუმცა არ მოიძიება მათ შესახებ შემდეგი სახის ცნობები, კერძოდ:

- არ მოიძიება კომისიის წევრების კომპეტენციის აღწერა და მათი შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



სოფიო ბრიტანჩუკი – კომისიის წევრი

დაიბადა 1980 წლის11 თებერვალს, ქ. თბილისში

**განათლება:**

1997-2002 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები დაამთავრა და ბაკალავრის ხარისხი მიენიჭა.

2001 - 2002 წლებში კავკასიის აკადემიური ცენტრში (CAC)

სრული კურსი გაიარა და აიღო სერტიფიკატი: მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა; კრიზისის მენეჯმენტი; ლობირება; რეკლამა და პოზიციონირება;

2003-2005 წლებში ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, მიენიჭა საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი.

2005 წელს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

კავკასიის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლის მედია მენეჯმენტის კურსი გაირა , გადაეცა სერტიფიკატი.

**ტრენინგები:**

კონფლიქტების მენეჯმენტის ჯგუფი (CMG - www.cmgroup.org) 2002 წ.

პროგრამა - „მომენტუმ“ (კონფლიქტების გადაჭრა და მოლაპარაკებების თეორია) სერტიფიკატი - კომუნიკაციის თეორია და მოლაპარაკება

კემბრიჯი, მასაჩუსეტი

თბილისის ბიზნეს სკოლა 2000-2001 წწ.

დასავლური საბუღალტრო კურსი

სერტიფიკატი

**აკაკი სიხარულიძე – კომისიის წევრი**



დაიბადა 1959 წლის 10 აპრილს, ქ. გურჯაანში

**განათლება:**

1977 წელს ჩააბარა და 1982 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

1982-1983 გაიარა თსუ-ს ასპირანტურის არასრული კურსი ფილოლოგია-ჟურნალისტიკის განხრით

1995 წელს ჩააბარა და 1998 წელს დაამთავრა ახალგაზრდობის საერთაშორისო ინსტიტუტი "თბილისი"-ს იურიდიული ფაკულტეტი

**სხვადასხვა დროს მუშაობდა:**

1975 წელს - საავიაციო ქარხანა, მუშა

1983-1986 წლებში - ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის ახალგაზრდულ და საყმაწვილო პრესის, ტელე და რადიო რედაქციების სექტორის ხელმძღვანელი

1986 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის (შემდგომში ფედერაცია) სხვადასხვა თანამდებობებზე:

- შემოქმედებითი განყოფილების გამგე

- კავშირის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე

- კავშირის პასუხისმგებელი მდივანი

1992 წლიდან 2004 წლამდე ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე

1993 წლიდან ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი

1995-2000 წლებში ჟურნალისთა კავშირების კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

2004-2006 წლებში მუშაობდა გურჯაანის რაიონის გამგებლად

2007-2009 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი

2009 წლის 17 მარტიდან დღემდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრი

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საკონტაქტო ინფორმაცია“ მოცემულია კომისიის წევრების მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართები, ხოლო მათი საკონტაქტო ტელეფონის ნომრების შესაბამისი გრაფები ცარიელია:

| | | | |
|---|---|---|---|
| **კომისიის წევრი** | კარლო კვიტაიშვილი | | kkvitaishvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან მახარაძე | 239-04-85 | rmakharadze@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | სოფო ბრიტანჩუკი | | sbritanchuk@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | მაია ნინუა | 238-61-54 | mninua@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | აკაკი სიხარულიძე | | asikharulidze@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | ლალი გვერდწითელი | 239-96-81 | lgverdtsiteli@gncc.ge |
| **კომისიის წევრი** | ირაკლი მოსეშვილი | | imoseshvili@gncc.ge |
| კომისიის წევრის მდივანი | რუსუდან ჭაბუკიანი | 239-96-87 | rchabukiani@gncc.ge |

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**10.** ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ვაკანსიების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, კომისიის საქმიანობის ამსახველი 2011 და 2012 წლის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამების არქივი, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, მოიძიებოდეს:

- კომისიის პრესმდივანის მიერ მომზადებული კომისიის საქმიანობის ყოველთვიური ანგარიშები;

- ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული უწყებრივი რეესტრი;

- სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების გეგმები; აგრეთვე შემუშავებული სტრატეგიული განვითარების ხელშემწყობი პროექტები;

- მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის მიერ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები, მაუწყებლობის სფეროში პრიორიტეტების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ მომზადებული ანგარიშები;

- საფინანსო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული კომისიის წლიური ბიუჯეტის პროექტი.

ამასთან, ცარიელია ვებ-გვერდზე არსებული შემდეგი ქვე-განყოფილებები:

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „რეგულირება“ არსებული ქვე-განყოფილება „უწყებრივი რეესტრი“ ცარიელია:






- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ არსებული ქვე-განყოფილება „გამოსვლები და პრეზენტაციები“:




აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „რეგულირება“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება“ – „დასკვნები“ განთავსებული პირველი ბმული ცარიელია:


კომისიის შესახებ
რეგულირება
სამართლებრივი აქტები
სასარგებლო ინფორმაცია
ლიცენზირება და ავტორიზაცია
სიხშირეთა მართვა
რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრი
უწყებრივი რეესტრი
ნუმერაციის რესურსი
ურთიერთჩართვა
სიხშირეთა განაწილების გეგმა
მონიტორინგი
წინასწარი რეგულირება
სიხშირეთა ლიცენზირების კალკულატორი
მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლება
მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების ოფერტები
მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორების საქმიანობის რეგულირების სამართლებრივ..
დასკვნები
All rights reserved © 20
ვნული კომისია


დასკვნა თანალოკაციის ფართზე დაშვების ტარიფების გაანგარიშების თაობაზე
ვრცლად
სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის დასკვნა №1 სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით საქმიანობაზე დანახარჯების განაწილებისა და ტარიფების გაანგარიშების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ
სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის დასკვნა №1 სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით საქმიანობაზე დანახარჯების განაწილებისა და ტარიფების გაანგარიშების თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ
ვრცლად



28 ივლისი 2009

დასკვნა თანალოკაციის ფართზე დაშვების ტარიფების გაანგარიშების თაობაზე

გაუზიარე Facebook-ზე

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**11.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება კომისიის ხელმძღვანელი პირის მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება კომისიის თავმჯდომარის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:



17 თებერვალი 2012

„კომედი ტვ" სამაუწყებლო ლიცენზიას ითხოვს

ვრცლად

16 თებერვალი 2012

სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის დანერგვიდან ერთი წელი გავიდა

ვრცლად

14 თებერვალი 2012

ციფრულ მაუწყებლობასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა

ვრცლად

10 თებერვალი 2012

„ქართული ტელემაუწყებლობა ივერიამ" თანამგზავრით მაუწყებლობის უფლება მიიღო

ვრცლად

10 თებერვალი 2012

„ტელე–რადიო კომპანია TV-7"-მა თანამგზავრით მაუწყებლობის უფლება მიიღო

ვრცლად

27 იანვარი 2012

„Style TV სტაილ ტვ" მაუწყებლობის დაწყებას 2012 წლის მარტში გეგმავს

ვრცლად

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში“ სასურველია აგრეთვე განთავსდეს კომისიის საქმიანობის ამსახველი 2011 წლის წლიური და 2012 წლის მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები:




13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სასარგებლო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტატისტიკური ინფორმაცია“ განთავსებულია ძალზედ მწირი სტატისტიკური მონაცემები:



**მობილური ქსელის აბონენტები**

| | რაოდენობა | თარიღი |
|---|---|---|
| მობილური ქსელის აბონენტები | 3 709 049 | ოქტომბერი, 2011წ. |
| | 3 418 118 | დეკემბერი 2010წ. |

**მობილურ ქსელში პორტირებული აბონენტები**

| | რაოდენობა | თარიღი |
|---|---|---|
| პორტირებული აბონენტები | 92 490 | დეკემბერი, 2011წ. |

**ფიქსირებული ქსელის აბონენტები**

| | რაოდენობა | თარიღი |
|---|---|---|
| ფიქსირებული ქსელის აბონენტები | 1 245 758 | სექტემბერი, 2011წ. |
| | 1 072 621 | დეკემბერი, 2010წ. |

**მაუწყებლები**

| | რაოდენობა | თარიღი |
|---|---|---|
| კერძო რადიო მაუწყებელი | 36 | დეკემბერი, 2011წ. |
| | 35 | დეკემბერი, 2010წ |

ამასთან, კომისიის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, აგრეთვე, მონაცემები, რომლებიც ასახავენ კომისიის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებული სიტუაციის განვითარების დინამიკას, განთავსებულია მხოლოდ კომისიის საქმიანობის ამსახველ ანგარიშებში, რაც ნაკლებად თვალსაჩინოა და სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:




მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საშუალოდ ერთ აბონენტზე გადაანგარიშებით 2000 წელს 57.74 ლარს, 2006 წელს - 31.8 ლარს, 2007 წელს 22.6 ლარს, 2008 წელს 25.9 ლარს, ხოლო 2009 წელს 22.1 ლარს შეადგენდა. როგორც ამ მონაცემიდან ჩანს, აბონენტებმა მცირედით შეზღუდეს საუბრის ხანგრძლივობა და მობილურ ტელეფონზე გაწეული ხარჯი.






**იურიდიული პირების სეგმენტი**

იურიდიულ პირების სეგმენტი ქსელის შიდა და ქსელის გარეთა ზარებს შორის დიდი დისბალანსით გამოირჩევა - მეოთხე კვარტალში ქსელის გარეთა წუთის ფასი 8-ჯერ ძვირი იყო ქსელის შიდა წუთის ფასზე.







## *ტექნოლოგიები*

ინტერნეტის მომხმარებლამდე მიწოდების ძირითად საშუალებად სადენიანი, კერძოდ - DSL (55.8 %) და ოპტიკურ-ბოჭკოვანი (28.7 %) ტექნოლოგიები გამოიყენება. უსადენო ინტერნეტის აბონენტები ძირითადად EVDO და CDMA ტექნოლოგიებით სარგებლობენ.

| | I კვარტ | II კვარტ | III კვარტ | IV კვარტ |
|---|---|---|---|---|
| **DSL** | 137,888 | 139,043 | 151,592 | 167,470 |
| **Fiber-Optic** | 65,729 | 69,626 | 73,746 | 86,008 |
| **CDMA** | 19,015 | 19,090 | 20,550 | 20,466 |
| **EVDO** | 13,329 | 16,481 | 21,148 | 23,873 |
| **WiMax** | 703 | 679 | 680 | 812 |
| **სხვა**[1] | 1,380 | 1,170 | 1,291 | 1,421 |
| | 238,044 | 246,089 | 269,007 | 300,050 |






მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონის საერთო შემოსავალმა 2009 წელს დაიკლო, მცირედით შემცირდა მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციის ბაზრის შემოსავლებში მისი წილი. 2008 წელს მთლიანად დარგის შემოსავლების 68% მობილურ ტელეფონიას ეჭირა, 2009 წელს კი ეს მონაცემი 3%-ით შემცირდა და 65% შეადგინა.




მობილური ტელეფონის შემოსავლების საერთო კლების პარალელურად, 2009 წელს კვლავ მზარდი იყო აბონენტების რაოდენობა. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით მობილურ ქსელში 213 616 აბონენტი ჩაერთო და საერთო ჯამში მათმა რიცხვმა 3 მილიონს გადააჭარბა.




მობილური ქსელის აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ფიქსირებული ქსელის აბონენტების რიცხვს. მათ შორის სხვაობა უკვე ძალიან დიდია, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ფიქსირებული უსადენო ტექნოლოგიების განვითარებისა და

სასურველია, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები განთავსდეს აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტატისტიკური ინფორმაცია“.

**14.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ახალი პროგრამები“ სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები:



**15.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია.

**16.** ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „საერთაშორისო თანამშრომლობა, სადაც განთავსებულია კომისიის საერთაშორისო პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა, თუმცა, სასურველია, აქვე განთავსდეს კომისიის პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:









ამასთან, ვებ-გვერდზე არ არის მოყვანილი ხსნებული სახის ინფორმაცია კომისიის საქართველოს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ; სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება საქართვლოს ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და კომისიის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**17.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი აქტები“ განთავსებული ზოგიერთი სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში შეიქმნას ქვე-განყოფილებები სათაურად „მთავრობა“, „პროექტები“ და „საერთაშორისო ხელშეკრულებები“, სადაც შესაბამისად განთავსდებოდა აგრეთვე, კომისიის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები, სამართლებრივი აქტების პროექტები და საერთაშორისო ხელშეკრულებები/შეთანხმებები:




სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ადმინისტრაციულ მართვასთან დაკავშირებული კომისიის სამართლებრივი აქტების პროექტები; ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ მომზადებული იმ ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე და სამართლებრივი დეპარტამენტის მიერ მომზადებული ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში საკანონმდებლო აქტების პროექტები.

ამასთან, კომისიის აპარატის შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში.

სასურველია ქვე-განყოფილებაში „პარლამენტი“ – „კანონები“, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტების ტექსტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მოიძიება საძიებო სისტემის მეშვეობით მაგრამ არ იხსნება);

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;

- საქართველოს კანონი ”დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” (მოიძიება საძიებო სისტემის მეშვეობით მაგრამ არ იხსნება);

- საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ (მოიძიება საძიებო სისტემის მეშვეობით მაგრამ არ იხსნება);

- საქართველოს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ (მოიძიება საძიებო სისტემის მეშვეობით მაგრამ არ იხსნება);

- საქართველოს კანონი „რეკლამის შესახებ“ (მოიძიება საძიებო სისტემის მეშვეობით მაგრამ არ იხსნება).

ხაზგასასმელია ის უარყოფითი ფაქტი, რომ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „კომისიის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კომისია“ მოცემულია მითითება კომისიის დებულებაზე, სადაც განთავსებულია „საქართველოს პრეზიდენტის N 326 ბრძანებულება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც აწ უკვე **ძალადაკარგულია**:




**საქართველოს პრეზიდენტის**
**ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა**
**N 326 2003 წლის 29 ივნისი ქ.თბილისი**

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ**

1. „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის V თავის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 სექტემბრის N411 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგული-რებელი ეროვნული კომისიის დებულება.

*ედუარდ შევარდნაძე*

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2003 წლის 29 ივნისის
N 326 ბრძანებულებით

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულება**

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სამართლებრივი აქტები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პარლამენტი“ – „კანონები“ განთავსებული ყველა სამართლებრივი აქტის შესაბამისი ბმული დაზიანებულია (არ იხსნება) გარდა პირველი ორი ბმულისა:






**Not Found**

The requested URL /files/7110_6864_979458_áƒ¡áƒáƒ¥áƒáƒ  áƒ—áƒ•áƒ”áƒšáƒáƒ¡ áƒáƒ“áƒ›áƒ˜áƒœáƒ˜áƒ¡áƒ¢áƒ áƒáƒªáƒ˜áƒ£áƒšáƒ˜ áƒ¡áƒáƒ›áƒáƒ áƒ—áƒšáƒ˜áƒ¡ áƒ¡áƒ¢áƒ˜áƒšáƒ˜áƒ¡ áƒ™áƒáƒ“áƒ”áƒ¥áƒ¡áƒ˜ ¥áƒ¡áƒ˜.pdf was not found on this server.

Additionally, a 404 Not Found error was encountered while trying to use an ErrorDocument to handle the request.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოქმედი დებულება სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „დებულება“.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**18.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და კომისიაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ* ***,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"****, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის კომისიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/kom.komisia_infostat0001.pdf).*

**19**. კომისია ახორციელებს შემდეგი სახის სახელისუფლებო ქმედებებს, კერძოდ:

- გასცემს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებს;
- გასცემს კერძო და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიებს;

- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვებს.

ხოლო, ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია:

## ლიცენზირება მაუწყებლობის სფეროში

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი არ შეიძლება იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი ან თანამშრომელი;
ბ) ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე იურიდიული პირი;
გ) პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის თანამდებობის პირი.

**მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახეებია:**

ა. სათემო მაუწყებლობა,
ბ. კერძო მაუწყებლობა.

კერძო მაუწყებლობის ლიცენზიების სახეები შეიძლება იყოს:

ა. საერთო მაუწყებლობა,
ბ. სპეციალიზებული მაუწყებლობა.

საერთო და სპეციალიზებული მაუწყებლობა ხორციელდება ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების, საკაბელო ქსელის ან სიხშირული სპექტრის გამოყენებით. იკრძალება სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ტრანზიტი, გარდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული მაუწყებლისაგან კანონიერ საფუძველზე მიღებული ტელე- ან რადიოარხის უცვლელი სახით გადაცემისა.

სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა, მოდიფიცირება, მისი მოქმედების შეჩერება და გაუქმება, აგრეთვე ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემა და მოდიფიცირება ხორციელდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

**ლიცენზიის მოქმედების ვადა**

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით. ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ ლიცენზიის მოქმედება ერთხელ, იმავე ვადით, გრძელდება ავტომატურად, თუ ლიცენზიის მფლობელის მიმართ ამ პერიოდში არ ყოფილა გამოყენებული "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების გაგრძელების მომენტისათვის დადგენილი სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას. სხვა შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე ლიცენზიის მფლობელი მიმართავს კომისიას კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებით. კომისია კონკურსს ატარებს ამ ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

## მაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად წარმოსადგენი განცხადება

გადაწყვეტილებას ტელე- ან რადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურების ან საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისია იღებს მისთვის განცხადების წარდგენიდან 45 სამუშაო დღის ვადაში. სიხშირული სპექტრის გამოყენებით მაუწყებლობის ლიცენზია გაიცემა კონკურსის საფუძველზე.

მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

1. *ფიზიკური პირისათვის:*
   ა. სახელი, გვარი,
   ბ. დაბადების ადგილი და თარიღი,
   გ. რეგისტრაციის მონაცემები,
   დ. მისამართი,
   ე. მოქალაქეობა;

   *იურიდიული პირისათვის:*
   ა. საფირმო სახელწოდება,
   ბ. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა,
   გ. იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი),
   დ. სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები,
   ე. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი,
   ვ. მონაცემები პარტნიორთა შესახებ, აგრეთვე იმ აქციონერთა შესახებ, რომლებიც ფლობენ აქციების 5%-ს ან მეტს;
2. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც ითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
3. მაუწყებლობის გავრცელების სავარაუდო გეოგრაფიული ზონა;
4. მაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში.

განცხადებას ასევე თან უნდა დაერთოს:

ა) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელება საჭიროებს სამშენებლო-საპროექტო სამუშაოების ჩატარებას და ზეგავლენას ახდენს სხვა ოპერატორის ქსელის ფუნქციონირებაზე, ადამიანების ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივ გარემოზე, სამშენებლო-ტექნიკურ დოკუმენტაციაში ასახული უნდა იყოს:

- განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური აღწერილობა;
- განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა;
- გამოსაყენებელი ტექნოლოგიების ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და ტექნოლოგიური სისტემების სტრუქტურა: ტექნიკური უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, საინფორმაციო უზრუნველყოფა, საერთო სარგებლობის რესურსებსა და ქსელებთან ურთიერთქმედების სტრუქტურა;
- განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური რეალიზაციის ნახაზები და დიაგრამები (max.A3 ფორმატი);
- ინფორმაცია ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობისა და სერტიფიცირების საკითხებთან დაკავშირებით.
- ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილმა სამშენებლო-ტექნიკურმა დოკუმენტაციამ სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე ქვეკომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში დაიშვება.

ბ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – პირადობის მოწმობის ასლიც;

## საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემის წესი

კონკურსის ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 3 თვისა კომისია უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას.

კონკურსის ჩატარების თარიღამდე არა უგვიანეს 2 თვისა კომისია ატარებს მოსამზადებელ სხდომას, რომელზეც ხდება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებების განხილვა და მათზე დართული დალუქული დოკუმენტაციის გახსნა ლიცენზიის მაძიებელთა თანდასწრებით. საზოგადოებას უნდა შეეძლოს აღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობა. დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისიამ უნდა გააფრთხილოს ლიცენზიის მაძიებელი და მისცეს მას დამატებით არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღისა დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. იკრძალება კომისიისთვის კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის საფოსტო გზავნილის სახით მიწოდება.

დოკუმენტაციის არასრულყოფილების, აგრეთვე პროგრამირებისა და საინვესტიციო ვალდებულების მინიმალური მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას, არ განიხილოს განცხადება და კონკურსში მონაწილეობაზე უარი უთხრას ლიცენზიის მაძიებელს.

კომისია კონკურსს საჯარო სხდომაზე ატარებს. კომისია დოკუმენტაციას აფასებს პროგრამირების ასპექტის მიხედვით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას მხედველობაში მიიღება:

ა) შემოთავაზებული პროგრამების მრავალფეროვნება და აუდიტორიის ინტერესებთან შესაბამისობა;

ბ) მომსახურების ზონის აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი, სხვა მაუწყებელთა პროგრამების არსებობა.

პროგრამირების ასპექტის მიხედვით კონკურსში მონაწილე ლიცენზიის მაძიებელთა თანაბარი შეფასების შემთხვევაში გამარჯვებულად ცხადდება კონკურსში მონაწილე ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც ადრე გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებდა მაუწყებლობას საკონკურსოდ გამოტანილი სიხშირეების გამოყენებით.

კომისია იღებს და აქვეყნებს დეტალურად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

თუ კონკურსში მონაწილეობს ლიცენზიის ერთი მაძიებელი, იგი გამარჯვებულად ცხადდება მის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადახდის დადასტურების შემთხვევაში.

კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 20%-ის კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს 2 წლით ეზღუდება კონკურსში მონაწილეობის უფლება.

## სათემო მაუწყებლობა

ა) ემსახურებოდეს თემის ინტერესებს;

ბ) უზრუნველყოფდეს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქებას.

სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის გასაცემად ტარდება კონკურსი ზემოაღნიშნული პროცედურის შესაბამისად.

ა) რამდენად შეესაბამება შემოთავაზებული მომსახურება თემის მიმდინარე და სამომავლო ინტერესებს და ლიცენზიის მაძიებლის შესაძლებლობებს;

გ) ლიცენზიის მაძიებლისათვის ლიცენზიის სამოქმედო ზონაში სხვა მაუწყებელთა მიერ გაწეული მომსახურების სახეობებს.

## სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

კომისია უარს ეტყვის ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ლიცენზიის მაძიებელმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ლიცენზიის გაცემაზე უარი ფორმდება კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

ლიცენზიის გაცემაზე კომისიის უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ვებ-გვერდზე, არ მოიძიება კომისიის მიერ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების გაცემისა და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემის შესახებ აღმწერილობითი ხასიათის ცნობები.

ამასთან, მაუწყებლობის სფეროში კომისიის მიერ ლიცენზიების გაცემის შესახებ არ მოიძება შემდეგი სახის ცნობები, კერძოდ:

- არ მოიძიება ხსენებულ სახელისუფლებო ქმედების განხორციელების თაობაზე პირთა მიმართვის წესის აღწერა (მათ შორის საკონტაქტო ინფორმაცია);

- არ მოიძიება იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები და საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ხსენებული სახელისუფლებო ქმედების განხორციელებაზე;

- არ მოიძება ხსენებული სახელისუფლებო ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით კომისიის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი;

- არ მოიძიება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადების ფორმები (მ.შ. განცხადებების, დეკლარაციების ფორმები *და მისთ.*), რომლებიც აუცილებელია ან/და დაკავშირებულია ხსენებული სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებასთან.

➢ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**20.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა კომისიასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, კომისიასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

**21.** ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტენდერები" განთავსებულია მხოლოდ სატენდერო განცხადებები:




24 თებერვალი 2012

კომპიუტერული მოწყობილობებზე და მარაგზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

14 თებერვალი 2012

სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთებაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

08 თებერვალი 2012

სატრანსპორტო საშუალებებისათვის და მათი ძრავებისათვის ნაწილებზე და აქსესუარებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

02 თებერვალი 2012

კომპიუტერულ მოწყობილობებზე და მარაგზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

16 იანვარი 2012

სატრანსპორტო საშუალებებისათვის და მათი ძრავებისათვის ნაწილებზე და აქსესუარებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

16 იანვარი 2012

საოფისე მანქანებზე, კომპიუტერებზე, პრინტერებიზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

ვრცლად

აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონკურსები და აუქციონები“ განთავსებულია მხოლოდ გამოცხადებული აუქციონების განცხადებები და კონკურსებისა და უქციონების შედეგები:



30 დეკემბერი 2011

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონი გამოცხადა

ვრცლად

13 დეკემბერი 2011

აუქციონში გამარჯვებული გამოვლინდა

ვრცლად

28 ნოემბერი 2011

ნუმერაციის რესურსი აუქციონზე გაიყიდა

ვრცლად

28 ნოემბერი 2011

აუქციონი გაიმართა

ვრცლად

25 ნოემბერი 2011

IP ტელეფონიის ნუმერაცია აუქციონზე გაიყიდა

ვრცლად

## „ახალმა ქსელებმა“ 1000 სააბონენტო ნომერი შეიძინა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დღეს გამართულ სხდომაზე აუქციონში გამარჯვებული გამოვლინდა. თერჯოლაში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი შპს „ახალი ქსელები“ გახდა. სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელმა 1000 საბონენტო ნომერის შესაძენად 315 ლარის გადახდის მზადყოფნა დაადასტურა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შპს „ახალი ქსელების“ განაცხადის საფუძველზე თერჯოლაში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონი 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით გამოაცხადა.

გადაწყვეტილების სრული ვერსია, გთხოვთ იხილოთ კომისიის გადაწყვეტილებების გვერდზე.

სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებებში განთავსდეს აგრეთვე, კომისიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (არქივი) წლებისა და კვარტლების მიხედვით. *(პროექტ* ***„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“****, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ იქნა მითითებული თანხები), რაც შესაძლებელს ხდის კომისიის მიერ ამ*

*ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/ko.komisia_shesyidvebi0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**22.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები" სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კომისიის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

ვაკანსიის განცხადება განთავსებულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლე" არსებულ ქვე-განყოფილებაში „პრეს რელიზები":



21 სექტემბერი 2011

განცხადება

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ცხადდება საჯარო კონკურსი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობის დასაკავებლად.

**კანდიდატებისთვის წაყენებული მოთხოვნები:**

**კანდიდატი, რომელსაც სურვილი აქვს დაიკავოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

**განათლება/ცოდნა**

• უმაღლესი იურიდიული განათლება;

• რეგულირებადი სფეროს და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა.

• უცხო ენის ცოდნა (სასურველია)

**სპეციფიური მოთხოვნები:**

• საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

• კანდიდატი არ შეიძლება იყოს რომელიმე პარტიის წევრი.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე პირი აირჩევა 2 წლის ვადით. მასზე გავრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რომელიც ვრცელდება თანამდებობის პირზე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობრივი სარგო შეადგენს – 2 495 ლარს.**

**კონკურსანტმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:**

1.წერილობითი განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

2.ავტობიოგრაფია (CV);

3.სამოტივაციო წერილი, რეგულირებადი სფეროს ცოდნისა და სათანადო სამუშაო გამოცდილების მითითებით;

4.უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

5.შესაბამისი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6.პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

➢ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

**23.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება კომისიის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად ( იგნორირებულია მოთხოვნა თანამდებობის პირების შესახებ), რაც შესაძლებელს ხდის კომისიის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/komunikaciebi_xelfasebi.pdf);*

- არ მოიძიება კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს კომისია;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ კომისიის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*





ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62,50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33,33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
84,21%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
42,86%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
0,00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდი ძალიან რთული მისაგნებია:




იგი განთავსებულია ერთ-ერთ კატეგორიაში:




საკონტაქტო გვერდი აუცილებლად უნდა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი მომხარებლისთვის;

ვებ-გვერდის მენიუ ზოგ შემთხვევაში მთლიან ეკრანზე არ ეტევა. მაგ:




საჭიროა მენიუს სიმაღლის შემცირება;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის ობიექტებს შორის დაშორება უნდა იყოს მინიმუმ 2 პიქსელი. ეს კრიტერიუმი ვებ-გვერდზე არ არის დაცული. მაგ:



- ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდზე არსებობს სამართლებრივი აქტების საძიებო სისტემა, რაც აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ეს ფუნქცია ძალიან იშვიათად არსებობს საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე:




ვებ-გვერდზე გამოყენებულია ისეთი მოდულები, რომლებსაც ჭირდებათ საკუთარი პლათფორმა. მაგალითად SilverLight-ი. ჯერ-ჯერობით აღნიშნული პლათფორმა არ არის სათანადოდ გავრცელებული, ხოლო მომხმარებლები ხშირად ერიდებიან ახალი პროგრამების გადმოწერას და მათ ინსტალაციას, ამიტომ აღნიშნული ვებ-გვერდის მოდულები რჩება გამოუყენებელი. მაგ:



ვებ-გვერდს გააჩნია ელექტრონული ლექსიკონი. მაგ:




აღნიშნული მოდული ძალიან იშვიათია ქართულ ვებ-სივრცეში, ამიტომ აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს ეს ფაქტი;

საჯარო დაწესებულების სტრუქტურა ვებ-გვერდზე ცუდად არის წარმოდგენილი. იგი ატვირთულია ვებ-გვერდის გარეთ (ანუ ვებ-გვერდში არ ჯდება), ამასთან მისი ფორმატი არის JPG რაც ნიშნავს, რომ სტრუქტურის ტექსტები არის სურათის სახით, შესაბამისად მათი ინდექსაცია ან კოპირება შეუძლებელია:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე არ იფილტრება გადაცემული ცვლადები;

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის დაცული პროტოკოლი HTTPS-ი არსებობს, თუმცა მას ვებ-გვერდი არ იყენებს. მაგ:




ვებ-გვერდზე აღმოჩენილია ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი - XSS.

ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ ხარვეზის შესახებ დეტალებს, თუმცა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს;

ვებ-გვერდზე საქაღალდეები არ არის დაცული. მაგ:



ასევე ვებ-გვერდზე არსებობს სხვადასხვა ხარვეზები. მაგ:




ზოგადად ვებ-გვერდის სერვერი უნდა უზრუნველყოფდეს ხარვეზების დამალვას, ხოლო გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს ვებ-დეველოპერმა;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის საბეჭდ ვერსიაში თანდართული უნდა იყოს საჯარო დაწესებულების სიმბოლიკა და სრული დასახელება. ამჟამად ვებ-გვერდზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაცული:




ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამოსაბეჭდი ვერსიის სიგანე ყოველთვის იწელება ეკრანის მიხედვით, ამით ირღვევა ამოსაბეჭდი ვერსიის ფორმატი და შედეგად ერთ ფურცელზე ტექსტი სიგანეში ვეღარ დაეტევა. ამოსაბეჭდი ვერსიის ფორმატი ყოველთვის დაცული უნდა იყოს.
არასწორი ფორმატი:




ვებ-გვერდზე ატვირთული ფაილები არ არის უნიკოდურ ფორმატში, რის გამოც ხდება ფაილების შიგთავსის არასწორი ინდექსაცია საძიებო სისტემებში. მაგ:




ყველა ატვირთული ფაილი, შეძლებისდაგვარად უნდა იყოს უნიკოდურ ფორმატში;

ვებ-გვერდზე ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ არსებობს, თუმცა მთლიანი ინფორმაცია ატვირთულია დოკუმენტების სახით, მათ შორის სტატისტიკური მონაცემები:

გრაფიკი N 3




კონიუქტ
გაუმჯობესებისა
კონკურენტ
გადამხდელუნარ
მოთხოვნის ზრ
მიანიშნებს. 2000-
ხუთწლიანი პერიო
განმავლო
საქართვე
ელექტრონ
საკომუნიკ
მომსახურების ბა
წლიური ზრდის ტ
კომპოზიტურმა ინდე
27.6% შეად
(compound annual gr
rate - CA
შესადარებლად, ა

სასურველია მსგავს დოკუმენტებს ქონდეთ HTML ვერსია, რომელიც განთავსებული იქნება პირდაპირ ვებ-გვერდზე.

## ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე რამოდენიმე ტექნიკური პარამეტრი დაბალ დონეზეა შესრულებლი, პირველ რიგში ეს არის უსაფრთხოების საკითხი, სადაც მნიშვნელოვაინ ხარვეზებია, ასევე დასახვეწია ძიების მოდული, საკონტაქტო ფორმები და წესები, ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა. ვებ-გვერდს ელექტრონული ჩართულობის მოდულები სამწუხაროდ საერთოდ არ გააჩნია. ზოგადად ვებ-გვერდზე ნავიგაცია არც ისე კომფორტულია და ძნელია სასურველი ინფორმაციის მოპოვება.